



MES 4 20 0000653562



03/08/2020

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ხალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 1 აგვისტოს**. სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომას ჩაერთოს ონლაინ.

Topic: **VET Authorization**

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/84165591060>

Meeting ID: 841 6559 1060

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში“ კონსულტანტი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე);

მარიამ ჩაგელიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“, საბჭოს მდივანი;

ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში, ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;

გიორგი ტრაპაიძე - სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი.

გიორგი ხიმტოვანი - ა(ა)იპ პი ემ სი კვლევითი ცენტრის კვლევითი დირექტორი

ანა საბახტარიშვილი - ა(ა)იპ „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომადგენლები:

კახაბერ ერაძე - დირექტორის მოადგილე

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორი

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტთა კორპუსის მართვის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თეონა ხუფენია - რექტორი

მანანა სამუშია - პროფესიული განათლების განვითარების სამსახურის უფროსი

მანანა ჭანტურია - პროფესიული პროგრამების განყოფილების უფროსი

ქეთევან ლომაია - პროფესიული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ციური დურული - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი

ლევან მიდოდაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

ნინო მაზმიშვილი - პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი

ა(ა)იპ - კოლეჯი „ჰორიზონტი“

ნანა ჯოლია - დირექტორი

ნანა ფაჩუაშვილი - დირექტორის მოადგილე

თამარ არობელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

ნაზიბროლა ყაზაიშვილი - იურისტი

ექსპერტები:

ნინო ბალაჩივაძე

ინგა ბაქრაძე

ინგა ბოჭოიძე

ქეთევან ბოტკოველი

მარინა გოგოლაძე

იაზონ დანელია

ნინო ხაჩიძე

ირაკლი მანველიძე

ირაკლი სალუქვაძე

თამარ ახალძე

ნია გუგუნავა

თამარ ვალიშვილი

ნინო ძაგანია

ნინო ჩომახაშვილი

ქეთევან ღვანიძე

ფრიდონ გოგიაშვილი

ინგა ბაქრაძე
ალინა კუპრავა
მანანა მოისწრაფიშვილი
მადონა გოგობერიშვილი
ვახტანგ ბოგველიშვილი
ხათუნა წერეთელი
ნანა შარაბიძე
ნანა შათირიშვილი
დავით გუდაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 10:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩანაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ფარმაციის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
2. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ბიბლიოთეკარის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
3. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „კომპიუტერი ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
4. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ბიბლიოთეკარის“ (სენაკი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
5. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ფერმერობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
6. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „რეპორტიორობა ჟურნალისტიკაში“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
7. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „პირის ღრუს ჰიგიენისტიკის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

8. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
9. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
10. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ფარმაციის“ (სენაკი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
11. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „სკოლამდელი აღზრდის“ (სენაკი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
12. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „კომპიუტერი ქსელი და სისტემების“ (სენაკი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
13. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
14. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
15. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
16. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
17. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ფარმაციის (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
18. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
19. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „აღმზრდელის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
20. ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
21. ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
22. ა(ა)იპ კოლეჯ „ჰორიზონტისთვის“ „ელექტრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

1. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ფარმაციის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „ფარმაციის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი „ფარმაციის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეხუთე დონის „ფარმაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის დაცვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით, ადგილზე დოკუმენტაციის გადამოწმებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით. ვიზიტი განხორციელდა ქ. ზუგდიდში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იყო დაწესებულებაში ვიზიტის მნიშვნელოვანი ასპექტები, ასევე ექსპერტების მიგნებები. თავმჯდომარე ნინო ბალანჩივაძემ პრეზენტაციაში წარმოადგინა სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი, სადაც ნაჩვენებია იყო 2.1; 2.2; 2.3; 2.4 კომპონენტების შესაბამისობა დაწესებულების მიერ თვითშეფასებაში დაფიქსირებული და პარალელურად ექსპერტების მიერ შეფასებული კომპონენტები. ექსპერტთა ჯგუფს ოთხივე კომპონენტი შეფასებული ჰქონდა სრულად, მაშინ, როდესაც 2.3 და 2.4 კომპონენტის ფარგლებში დაწესებულებას ჰქონდა მეტწილი შეფასება.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს გადამოწმდა ის სასწავლო აუდიტორიები, რომლებიც ამ საგანმანათლებლო პროგრამისთვის არის გამოყოფილი დაწესებულებაში - №110; №107 აუდიტორიები, ასევე C გარემო, რომელიც აღჭურვილია „ფარმაციის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსით/ინვენტარით. სასწავლო აუდიტორიებში არის პროფესიული სტუდენტის - 20 სამუშაო ადგილი. ასევე დაწესებულებაში არის ლაბორატორია, რომელიც მოემსახურება 10 პროფესიულ სტუდენტს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ვინაიდან დაწესებულება არის უმაღლესი, რომელიც პროფესიული პროგრამების პარალელურად ახორციელებს აკადემიურ პროგრამებს (ამ შემთხვევაში, ეს ეხება „ფარმაციის“ პროგრამას), პროფესიული სტუდენტების გარდა, ამ ლაბორატორიით სარგებლობენ ასევე ბაკალავრიატის სტუდენტები, რაც შეიძლება ერთგვარი რისკი იყოს, ვინაიდან დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ნათლად გაწერილი ცხრილი, სადაც უნდა ჩანდეს, თუ როგორი განრიგით სარგებლობს როგორც საბაკალავრო, ისე, პროფესიული პროგრამები აღნიშნული გარემოთი.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ცხრილი, სადაც ნათლად არის გაწერილი თუ რომელი ჯგუფი, როდის სარგებლობს ლაბორატორიით, ვინაიდან ამ ეტაპზე ბაკალავრიატის სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების მეცადინეობის თანხვედრა არ ხდება, რისკი მინიმალურია. ამავდროულად დაწესებულებას დაგეგმილი აქვს პროფესიული სტუდენტებისთვის ცალკე ლაბორატორიის აღჭურვა, რომლითაც მხოლოდ პროფესიული სტუდენტები ისარგებლებენ.

შემდეგ ნინო ბალანჩივაძემ განმარტა, რომ მათ მიერ განხორციელებული ვიზიტის შედეგად გაცემულ იქნა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები და ხარვეზი არ გამოვლენილა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

კომპონენტი 2.1.4

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას მისცა რეკომენდაცია, ვინაიდან აკადემიურ პროგრამებს ემსახურება მხოლოდ ერთი ლაბორატორია, სადაც „ფარმაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში დაემატება პრაქტიკული კომპონენტები, გამოიყოს დამატებითი ფართი და გაიმიჯნოს აკადემიური და პროფესიული პროგრამების განხორციელების მატერიალური რესურსი. საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის არგუმენტირებული განმარტებით უნივერსიტეტში დაწყებულია შესყიდვის პროცედურები დამატებით ერთი სრული ლაბორატორიის მოსაწყობად ავეჯითა და შესაბამისი აღჭურვილობით, რომელიც განთავსდება „ფარმაციის“ პროგრამისათვის განკუთვნილ 110-ე აუდიტორიაში. ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება საგანმანათლებლო დაწესებულების მზაობას დამატებით მოაწყოს ერთი სრული ლაბორატორია ფარმაციის პროგრამისათვის განკუთვნილ სივრცეში. იმედია, აღნიშნული რეკომენდაცია სასწავლო პროცესის დაწყებამდე გათვალისწინებული იქნება.

კომპონენტი 2.4.5

შპს „ავერსი-ფარმას“ მემორანდუმში დაზუსტდეს სტუდენტთა რაოდენობა ან დაიდოს ხელშეკრულება. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შპს „ავერსი-ფარმას“ მემორანდუმის ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებას წარმოადგენენ საბჭოზე.

საბჭოს წევრი შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, ექსპერტების რეკომენდაციასთან დაკავშირებით, აკადემიური და პროფესიული პროგრამების სტუდენტებისთვის სასწავლო აუდიტორიების გამიჯვნა ექსპერტთა ჯგუფს განვიტარების რეკომენდაციად ჰქონდა თუ სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციად.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ეს განვითარების რეკომენდაციას წარმოადგენდა.

აქვე დაწესებულების რექტორმა თეონა ხუფენიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გამოაცხადა ტენდერი და უახლოეს ხანებში დაწესებულებას ექნებოდა ახალი ლაბორატორია.

საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, საკმარისი იყო თუ არა დაწესებულებაში არსებული რესურსი „ფარმაციის“ პროგრამის განსახორციელებლად, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ინგა ბოჭოიძემ საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას განუმარტა, რომ რესურსი საკმარისი იყო 10 პროფესიული სტუდენტისთვის.

ინგა ბოჭოიძემ, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ დეტალურად იქნა შესწავლილი რისკის ფაქტორი და დაადასტურა, რომ თანხვედრა აკადემიურ და პროფესიულ პროგრამას შორის ვერ იქნებოდა, იქიდან გამომდინარე, რომ ლაბორატორიაში კონკრეტული მოდულები ხორციელდებოდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ბალანჩივაძემ მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ვინაიდან ხელშეკრულებაში არ არის მითითებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, სასურველია დაზუსტდეს.

საბჭოს წევრი შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში იყო თუ არა ჩაანწერი იმ მოდულების შესახებ, რომლებიც უნდა განხორციელდეს კონკრეტულ პრაქტიკის ობიექტზე.

ამასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა ინგა ბაქრაძემ აღნიშნა, რომ მემორანდუმში დეტალურად არის გაწერილი ინფორმაცია განსახორციელებელი მოდულების შესახებ, თუმცა არა არის მითითებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა.

აქვე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა დაწესებულების მიერ 2.3 და 2.4 კომპონენტის მეტწილად შეფასებას, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ობიექტურად და ლოგიკურად შეაფასა ეს ნაწილი. ასევე მან აღნიშნა, რომ არსებული რეკომენდაციებით დაწესებულება შეძლებდა ამ პროგრამის განხორციელებას. ამავდროულად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გაუმჯობესების გეგმა ორიენტირებულია განვითარებაზე.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ მისი აზრით 2,4 კომპონენტის ნაწილში მნიშვნელოვანი იყო არსებული რეგულაციების პრაქტიკაში მოსინჯვა, მან დასძინა რომ დაწესებულების შეფასება 2.4 კომპონენტის ნაწილში ობიექტური იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ ნანა ყუფუნია აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ვერ იქნებოდა საუბარი სრულ შესაბამისობაზე, ვინაიდან ჯერ არ იყო დაწყებული პროგრამის განხორციელება.

ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ კახაბერ ერაძემ. მან აღნიშნა, რომ ეს არის სტანდარტების ის ნაწილი, სადაც პროგრამულ ნაწილში დასაშვებია მეტწილი შეფასება, ჯერ თვითონ სისტემაც არაა მზად, ამ შემთხვევაში ძირითადად საუბარია ვერიფიკაციის სისტემაზე, ამ ეტაპზე ამ კომპონენტის მეტწილი შეფასება მისაღებია.

საბჭოს წევრმა მარიამ ჩაგელიშვილმა მიმართა ექსპერტებს, იყვნენ თუ არა ისინი პრაქტიკის ობიექტზე, რაზეც დარგის ექსპერტმა ინგა ბაქრაძემ უპასუხა, რომ ავერსის წარმომადგენლებს აქვთ მზაობა მიიღონ უნივერსიტეტის პროფესიული სტუდენტები პრაქტიკაზე. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ქ. ზუგდიდში არის ავერსის 6 ფილიალი, სწორედ ამ ექვს ფილიალში გადანაწილდებიან პროფესიული სტუდენტები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ინგა ბოჭოიძემ დააკონკრეტა, რომ „ფარმაციის“ პროგრამის ხელმძღვანელი ავერსის წარმომადგენელი იყო.

საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნია დაინტერესდა, ავერსის თანამშრომელი მენეჯერი იყო თუ არა, რაზეც დარგის ექსპერტმა საბჭოს მოახსენა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იყო მენეჯერი, მან ასევე აღნიშნა, რომ პრაქტიკის ობიექტზე გაესაუბრნენ განმახორციელებლებს, რომლებმაც დადებითი შთაბეჭდილება დატოვეს, ვინაიდან ისინი არიან მოქმედი პრაქტიკოსები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, თუ რა აზრის იყვნენ ექსპერტები პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით, რაზეც დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოთოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა იყო 60, თუმცა მან იქვე აღნიშნა, რომ 60 პროფესიული სტუდენტი ერთდროულად ვერ ისწავლიდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაწესებულება ახორციელებდა ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიულ პროგრამას, თანამშრომლობდა ავერსთან, ასე რომ თანამშრომლობის გამოცდილება დაწესებულებას ავერსთან აქვს.

ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას ასევე წარუდგინა ფოტოკოლაჟი, სადაც მოცემული იყო დაწესებულების მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი და სხვადასხვა გარემოს (A, B, C) აუდიტორიები, ასევე პრაქტიკის ობიექტის ფოტოები.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები ყურადსაღებია და დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებს.

დაწესებულების რექტორმა ლაბორატორიასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ლაბორატორიის საკითხი გადაწყვეტილი იყო და უახლოეს პერიოდში დაწესებულებაში ამოქმედდებოდა მეორე ლაბორატორია.

მან ასევე ისაუბრა ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ მემორანდუმი გააფორმა დამატებით ორ აფთიაქთან პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტთა მიერ 2.4 კომპონენტის ნაწილში სრული შეფასება შეცვალა მეტწილი შეფასებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ფარმაციის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ფარმაციის“ საგანმანათლებლო პროგრამა ქ. ზუგდიდში (**დანართი 1**).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 1 აგვისტო.

2. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ბიბლიოთეკარის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „ბიბლიოთეკარის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი „ბიბლიოთეკარის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ქეთევან ბოტკოველს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, ქეთევან ბოტკოველის განცხადებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეოთხე დონის „ბიბლიოთეკარის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის დაცვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით, ადგილზე დოკუმენტაციის გადამოწმებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულებას მიულოცა ის ფაქტი, რომ პროფესიული პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, დაწესებულება იწყებდა ახალი კორპუსის მშენებლობას.

ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას ასევე წარუდგინა ფოტოკოლაჟი, სადაც მოცემული იყო დაწესებულების მატერიალური რესური, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი და სხვადასხვა გარემოს (A, B, C) აუდიტორიები.

შემდეგ ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ მათ მიერ განხორციელებული ვიზიტის შედეგად გაცემულ იქნა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები და ხარვეზი არ გამოვლენილა. გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

კომპონენტი 2.2.1.(1)

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; რეკომენდირებულია ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა, რაც აუცილებელი პირობაა პრაქტიკული-ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებისთვის, კერძოდ, უნდა მოხდეს ისეთი მნიშვნელოვანი პირობების დაკმაყოფილება, როგორებიცაა მუდმივი წყლის მიწოდების სისტემის უზრუნველყოფა, ცეცხლმაქრი, სპეციალური ლაბორატორიული ავეჯი.

ასევე გაცემულ იქნა განვითარების რეკომენდაციები:

კომპონენტი 2.2.1.(3)

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად მათ მიერ გავლილი ტრენინგებისა, იმის გათვალისწინებით, რომ ინტეგრირებული მოდულები სიახლეა პროფესიულ განათლებაში და მათ ბოლომდე არ აქვთ გათვითცნობიერებული მოდულების სპეციფიკა, ისინი საჭიროებენ დამატებით ინტენსიურ

მუშაობას, როგორც მეთოდური ასევე შეფასების კუთხით, რასთან დაკავშირებითაც გაიცა რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ ნანა ყუფუნიაშვილმა ექსპერტებს მიმართა, პროგრამის საჭიროებასთან დაკავშირებით, დაინტერესდა, თუ რატომ არის მოთხოვნილი ეს პროგრამა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ამასთან დაკავშირებით ჩატარებულია სერიოზული კვლევა, დაწესებულების კვლევების საფუძველზე გამოიკვეთა საჭიროება, რომ დაწესებულებას განეხორციელებინა „ბიბლიოთეკარის“ საგანმანათლებლო პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით (მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 30), თუ რა იყო საფუძველი ასეთი მოთხოვნისა, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ეს მოთხოვნილი რაოდენობა არ არის გათვლილი მხოლოდ ქალაქზე, მიუხედავად იმისა, რომ ქ. ზუგდიდში არის ბევრი ბიბლიოთეკა, აქ საუბარია, ზოგადად, რეგიონის მოთხოვნაზე.

აქვე მან აღნიშნა, რომ დაწესებულების კვლევების თანახმად, რეგიონი საჭიროებს ბიბლიოთეკარებს.

საბჭოს წევრი ანა საბახტარიშვილი დაინტერესდა, კვლევის დოკუმენტში თუ იყო ასახული რაოდენობრივი მონაცემი, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ციფრებს ვერ დაასახელებდა.

საბჭოს წევრი გიორგი ხიმტოვანი დაინტერესდა, თუ სად შეიძლებოდა დასაქმებულიყო კურსდამთავრებული, გარდა ბიბლიოთეკისა, რაზეც ქეთევან ბოტკოველმა უპასუხა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე მუზეუმებში, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. მან აღნიშნა, რომ ქ. ზუგდიდში არის ბევრი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, სადაც არაკვალიფიციური კადრები არის დასაქმებული ბიბლიოთეკარებად. გარდა ამისა, მან ხაზი გაუსვა, რომ 15 პროფესიული სტუდენტი არ არის ის რაოდენობა, რომ ვერ დასაქმდეს, ხოლო ირმა ბოჭოიძემ დაამატა, რომ რეგიონში ფუნქციონირებს 30-მდე ბიბლიოთეკა, სადაც შეიძლება დასაქმდნენ კურსდამთავრებულები. ამასთან დაკავშირებით დაწესებულების რექტორმა თეონა ხუფენიაშვილმა დაამატა, რომ გარდა ქალაქებისა, მოთხოვნა არის ასევე სოფლებში (30 სოფელი), სადაც იხსნება სათემო ბიბლიოთეკები და, შესაბამისად, კადრების მოთხოვნაც იზრდება. მან ასევე განმარტა, რომ ამ პროგრამის შემუშავებაში, დაწესებულების წარმომადგენლების გარდა, ჩართული იყვნენ ბიბლიოთეკების გაერთიანებში დასაქმებული პირები. ამას გარდა, მან აღნიშნა, რომ აქ საუბარი იყო ასევე ბიბლიოთეკების გაციფრულებაზე, ასევე საუბარია დაარქივებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თუ მოვლენები ასე განვითარდება, მაშინ მართლა საჭიროა, რომ მომზადდეს კადრები, რომელთა დეფიციტი ნადვილად შეეტყო საზოგადოებას, აქედან გამომდინარე ძალიან კარგი იქნება, თუ ბევრი ბიბლიოთეკები გაიხსნება და რეგიონში დასაქმდებიან კურსდამთავრებულები.

ბოლოს საბჭოს წევრმა ანა საბახტარიშვილმა რჩევა მისცა ექსპერტებს, კვლევების შესწავლისას დაწესებულებებში მეტი ყურადღება მიექციათ დაზუსტებისთვის, მოეყვანათ კვლევებში ასახული კონკრეტული ციფრები.

საბჭოს წევრი შორენა ჯაფარიძე შეეხო 2.2 კომპონენტს, რაც ეხებოდა ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ ფარგლებში საჭირო ონკანის საკითხს და დაწესებულებას თუ ჰქონდა ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ დაფიქსირებული შენიშვნა, ონკანთან დაკავშირებით, აღმოფხვრილი, დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ ეს პრობლემა მოგვარებული იყო.

ექსპერტმა ინგა ბოჭოიძემ ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ არის მნიშვნელოვანი მოდული. ბუნებრივია, რომ აქ ნამდვილად იქნეს დანახული, თუ როგორ მოხდება მოდულის განხორციელება. დაწესებულებას ამ კუთხით მატერიალური რესურსი სრულად აქვს შექმნილი. ერთადერთი, რაც საყურადღებო იყო, ეს იყო

ონკანთან დაკავშირებული პრობლემა. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, აღნიშნული პრობლემა აღმოიფხვრილია. მან ასევე ყურადღება გაამახვილა ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლების ტრენინგებზე და აღნიშნა, რომ სასურველია, გაგრძელდეს ტრენინგები, რაზეც დაწესებულების რექტორმა უპასუხა, რომ მათ ჰქონდათ გამოცდილება ინტეგრირებული სწავლების და დაამატა, რომ სენაკში ხორციელდება ინტეგრირებული პროგრამა, და, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია განმახორციელებლთა უწყვეტი განვითარება. ამასთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაამატა, რომ მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში ტარდება ტრენინგები, თხოვნა იქნება სამინისტროსთან გაგრძელდეს ასეთი სახის ტრენინგები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების რექტორს მონიტორინგის თარიღის ჩანიშვნის შესახებ. დაწესებულების რექტორმა მონიტორინგის ბოლო თარიღად დაასახელა 2020 წლის 10 ოქტომბერი, 2.2 კომპონენტის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მონიტორინგი განხორციელდებოდა ადგილზე ვიზიტით.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია დაწესებულების განვითარებისთვის და გათვალისწინებული იქნება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ბიბლიოთეკარის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ბიბლიოთეკარის“ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები ქ. ზუგდიდში (დანართი 2)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 1 აგვისტო.

მონიტორინგი ჩაინიშნოს 2020 წლის 10 ოქტომბერს ვიზიტით.

3. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ქეთევან ბოტკოველს.

ქეთევან ბოტკოველი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეოთხე დონის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის დაცვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით, ადგილზე დოკუმენტაციის გადამოწმებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით. ვიზიტი განხორციელდა ქ. ზუგდიდში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ამ პროგრამასთან დაკავშირებითაც ისეთივე რეკომენდაციები იქნა გაცემული, რაც წინა შემთხვევაში, მან დაამატა, რომ ამ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური განმახორციელებლები.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე დარგის ექსპერტს იაზონ დანელიას, რომელმაც აღნიშნა, რომ მოდულების განმახორციელებლებს აქვთ პრაქტიკული გამოცდილება, მუდმივად მუშაობენ თვითგანვითარებაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ პროგრამის ფარგლებში დაწესებულება თანამშრომლობს კომპანიასთან, რომელიც ამ სექტორში ცნობილია.

საბჭოს წევრი ანა საბახტარიშვილი დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა კომპანიას ადგილობრივი წარმომადგენლობა, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტმა აღნიშნა, ჰყავდა და პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა ამ ორგანიზაციების სასწავლო რესურსებით სარგებლობისა.

საბჭოს წევრმა, მარიამ ჩაგელიშვილმა დარგის ექსპერტს სთხოვა განემარტა, რას გულისხმობდა ის, როცა მან აღნიშნა, რომ დაწესებულებებში Fortinet აკადემია არ არის „ბოლომდე

დაარსებული“. დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებაში სწავლება მიმდინარეობს აღნიშნული აკადემიის რესურსის გამოყენებით, თუმცა არა ამ აკადემიის პროგრამით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ ამ პროგრამის განხორციელება დაწესებულებას თავისი რესურსით შეეძლო და დასძინა, რომ დაწესებულება ახორციელებდა საგნობრივ პროგრამას. ამ ეტაპზე იმატებს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამის ინტეგრირებით. მან ასევე წარმოადგინა ფოტოკოლაჟი, სადაც დაფიქსირებული იყო ის რესურსი, რომელიც პროგრამის განხორციელებისთვის იყო საჭირო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას, დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია. დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ნამდვილად აქვს მატერიალური რესურსი და ყველა პირობაა ამ პროგრამის განსახორციელებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა მანანა სამუშიამ დააფიქსირა პროფესიული სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა - 80, ხოლო აქედან 40 ინტეგრირებულზე.

ინგა ბჟოიძემ განმარტა, რომ რესურსის ნაწილში რეკომენდებულია ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა, რაც აუცილებელი პირობაა პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებისთვის. კერძოდ, უნდა მოხდეს ისეთი მნიშვნელოვანი პირობების დაკმაყოფილება, როგორცაა, მუდმივი წყლის მიწოდების სისტემის უზრუნველყოფა, ცეცხლმაქრი, სპეციალური ლაბორატორიული ავეჯი.

შემდეგ ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ მათ მიერ განხორციელებული ვიზიტის შედეგად გაცემულ იქნა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები და ხარვეზი არ გამოვლენილა. გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

კომპონენტი 2.2.1.1.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

რეკომენდირებულია ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა, რაც აუცილებელი პირობაა პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებისთვის, კერძოდ, უნდა მოხდეს ისეთი მნიშვნელოვანი პირობების დაკმაყოფილება, როგორცაა მუდმივი წყლის მიწოდების სისტემის უზრუნველყოფა, ცეცხლმაქრი, სპეციალური ლაბორატორიული ავეჯი, ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია პროფესიული განათლების მასწავლებლების და განსაკუთრებით ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლების შემდგომ გადამზადებასთან დაკავშირებით, ექსპერტების შეფასებით ისინი საჭიროებენ განვითარებას ამ კუთხით.

ვიზიტის დროს ასევე გაცემულ იქნა განვითარების რეკომენდაციები:

კომპონენტი 2.2.1.3.

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მიუხედავად მათ მიერ გავლილი ტრენინგებისა, იმის გათვალისწინებით, რომ ინტეგრირებული მოდულები სიახლეა პროფესიულ განათლებაში და მათ ბოლომდე არ აქვთ გათვითცნობიერებული მოდულების სპეციფიკა, ისინი საჭიროებენ დამატებით ინტენსიურ მუშაობას, როგორც მეთოდური, ასევე შეფასების კუთხით, რასთან დაკავშირებითაც გაიცა რეკომენდაცია.

ექსპერტმა წარმოდგენილ პრეზენტაციაში დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ფოტოკოლაჟი, სადაც მოცემული იყო დაწესებულების მატერიალური რესური, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი და სხვადასხვა გარემოს (A, B, C) აუდიტორიები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების რექტორს მონიტორინგის თარიღის ჩანიშვნის შესახებ. დაწესებულების რექტორმა მონიტორინგის ბოლო თარიღად დაასახელა 2020 წლის 10 ოქტომბერი, 2.2 კომპონენტის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მონიტორინგი განხორციელდებოდა ადგილზე ვიზიტით.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია და აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) მიენიჭოს უფლება დამატებით განხორციელოს დანართით განსაზღვრული „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები ქ. ზუგდიდში **(დანართი 3)**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 1 აგვისტო.

4. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ბიბლიოთეკარის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „ბიბლიოთეკარის“

საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ქეთევან ბოტკოველს.

ნინო ხაჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეოთხე დონის „ბიბლიოთეკარის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის დაცვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია განისაზღვრეს დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით, ადგილზე დოკუმენტაციის გადამოწმებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით. ვიზიტი განხორციელდა ქ. სენაკში.

შემდეგ ნინო ხაჩიძემ განმარტა, რომ მათ მიერ განხორციელებული ვიზიტის შედეგად სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა და ხარვეზი არ გამოვლენილა. გაიცა შემდეგი სახის განვითარების რეკომენდაციები:

კომპონენტი 2.1.1

1. დაწესებულებას აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის წესი, რომლითაც ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს აკადემიური საბჭო და იქვე განსაზღვრავს პროგრამის ავტორიზაციაზე უარის თქმის შემთხვევაში დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის პირობას. „ბიბლიოთეკარის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 ივნისის N34 დადგენილებით, თუმცა დადგენილება არ მოიცავდა ავტორიზაციაზე უარის თქმის შემთხვევაში ძალადაკარგულად ჩათვლის პირობას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, როდესაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება იქნება უარყოფითი, მხოლოდ მაშინ გამოიცემა დადგენილება შესაბამისი პროგრამის გაუქმების

შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ რეგულაციაში აღნიშნული ჩანაწერი ამ ინფორმაციის მატარებელი არ არის, სასურველია, რეგულაციაში შევიდეს ცვლილება, ან დადგენილება მოვიდეს შესაბამისობაში შემუშავებულ რეგულაციასთან.

პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

- ქართული ენის მოდულებში არის რამდენიმე ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ, გვხვდება სიტყვები „სარეკომენდაციო“, „მინიმალური“.
- დაწესებულებას პროგრამის დამტკიცებისას არასწორად აქვს მოდულები გადანაწილებული/განთავსებული პროგრამის საქალაქო დონეებში. კერძოდ, „ბიბლიოთეკარის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი მოდულები მოიცავს მხოლოდ 2 მოდულს „ინფორმაციული წიგნიერება 1“-ს და „უცხოურ ენას“ 5 მოდულის ნაცვლად, ხოლო „ბიბლიოთეკარის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, ზოგადი მოდულები მოიცავს 5 მოდულს, 2 მოდულის ნაცვლად. შესაბამისად, მიზანშეწონილია პროგრამების პაკეტებში მოდულები გადანაწილდეს სწორად. შესაბამისად, სასურველია პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა.

დაწესებულებას ასევე მიეცა განვითარების რეკომენდაციები 2.2.1 კომპონენტის ფარგლებში:

3. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებს ხელშეკრულებაში მითითებული აქვთ მათ მიერ განსახორციელებელი მოდულები, განსხვავებით პროფესიული მოდულების განმახორციელებლებისგან. გაფორმებულ წინამდებარე ხელშეკრულებებში სასურველია გასწორდეს ტექნიკური ხასიათის უზუსტობები, რომლებიც დაკავშირებულია მოდულის სახელწოდებებთან. მაგალითად, მოდულის სახელწოდებაა „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია ბიოლოგია, ხოლო განმახორციელებელ პირს ხელშეკრულებაში მითითებული აქვს „მეცნიერება (ბიოლოგია)“. ასევე, სასურველია პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელთა მსგავსად ხელშეკრულებაში მიეთითოს, თუ რომელი მოდულის განმახორციელებლებად მოიაზრებიან.

4. დაწესებულებას საპროგნოზო ბიუჯეტში მითითებული აქვს პროგრამის სწავლის საფასური/ოდენობა, თუმცა შემოსავლების სახეობაში არ უთითებს, თუ რა სახის შემოსავალს/დაფინანსებას იღებს. დაწესებულებას ხარჯების ნაწილში გაწერილი აქვს მხოლოდ მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, მასალა-ნედლეულის, ინვენტარის ხარჯი. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ გაწეროს შემოსავლების სახეობა და ყველა ის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია პროგრამის განხორციელებასთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ხაჩიძემ პრეზენტაციაში წარმოადგინა ცხრილი, სადაც ნათლა ჩანდა დაწესებულების მიერ თვითშეფასება კომპონენტების მიხედვით და ასევე ექსპერტთა შეფასება. 2.1 და 2.2. კომპონენტის ფარგლებში ექსპერტების შეფასება დაემთხვა დაწესებულების თვითშეფასებას, ხოლო 2.3 და 2.4 კომპონენტის ნაწილში დაწესებულებას ჰქონდა მეტწილი შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითვა ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი შორენა ჯაფარიძე შეეხო განვითარების რეკომენდაციებს, მან აღნიშნა, რომ პროგრამების ცვლილებების შეტანის შესახებ ძალიან მნიშვნელოვანია, მან დაამატა, რომ კითხვები არ ჰქონდა, ვინაიდან პრეზენტაცია ამომწურავად იყო წარმოდგენილი.

ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას ასევე წარუდგინა ფოტოკოლაჟი, სადაც მოცემული იყო დაწესებულების მატერიალური რესური, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი და სხვადასხვა გარემოს (A, B, C) აუდიტორიები. ასევე ინტეგრირებული მოდულისთვის ლაბორატორია.

განისაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა ზღვრული რაოდენობა - 24, ხოლო ინტეგრირებულზე - 12.

ნინო ხაჩიძემ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საჯარო ბიბლიოთეკაში არის 4 თანამშრომელი, თითოეულს შეუძლია ერთდროულად 4-4 პროფესიული სტუდენტის მიღება, მიუხედავად იმისა, რომ ქ. ზუგდიდში არის საბავშვო ბიბლიოთეკაც, ექსპერტებმა არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად საბავშვო ბიბლიოთეკაში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ირაკლი მანველიძეს, უმაღლესი დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტს, მან დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ ვინაიდან სენაკის ფართზე დაწესებულება მხოლოდ პროფესიულ პროგრამებს ახორციელებს, რისკის ფაქტორი არ არის.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ გაცემული რეკომენდაციები ძალიან მნიშვნელოვანი დაწესებულებისთვის, განსაკუთრებით პროგრამის განვითარების, ვერიფიკაციის და ვალიდაციის ნაწილში, ვინაიდან ახალი სტანდარტები ზოგადად გამოწვევაა ყველა დაწესებულებებისთვის, მაქსიმალურად გაითვალისწინებენ ექსპერტების რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ბიბლიოთეკარის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები ქ. სენაკში. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ბიბლიოთეკარის“ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები ქ. სენაკში (**დანართი 4**)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 1 აგვისტო.

5. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ფერმერობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ,

რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „ფერმერობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი „ფერმერობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ქეთევან ბოტკოველს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ირაკლი სალუქვაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეოთხე დონის „ფერმერობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის დაცვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით, ადგილზე დოკუმენტაციის გადამოწმებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით. ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, მან აღნიშნა, რომ დამატებით დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ ჩაინიშნა გასაუბრება დისტანციურად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა პრეზენტაცია. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება განაცხადით ითხოვდა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე 15 პროფესიული სტუდენტის მიღებას და ხაზი გაუსვა, რომ დაწესებულებას ამ პროგრამის განხორციელებისთვის აქვს აღჭურვილობა, თუმცა სრულად არა, რადგან ტრაქტორი, მისაბმელი, სასუქის მფრქვეველი და სხვ. შესასყიდა. გაეროს განვითარების პროგრამას აქვს აღებული ვალდებულება აღნიშნული რესურსის შესყიდვაზე და ეს დაწესებულებას შესაბამისობის გეგმაშიც გაწერილი აქვს. მან ასევე დასძინა, რომ დაწესებულებას არგუმენტირებულ წერილში უნდა წარმოედგინა დამატებით ხელშეკრულება.

საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნიაშვილმა აღნიშნა, რომ ფერმერობაში უმნიშვნელოვანესია ტრაქტორი, აქედან გამომდინარე დაინტერესდა, თუ ჰქონდა ტრაქტორი იმ კომპანიებს, რომელთანაც დაწესებულება თანამშრომლობს, ამის საშუალება. აქვე დაინტერესდა, თუ ჰქონდათ ექსპერტებს ინფორმაცია მემორანდუმის/ხელშეკრულების/მირება-ჩაბარების ან სხვა დოკუმენტის არსებობის შესახებ.

ამ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობდა მიმოწერა გაეროს განვითარების პროგრამასთან და რომ ტენდერი დაწყებული იყო.

საბჭოს წევრი მარიამ ჩაგელიშვილი დაინტერესდა, ექსპერტებს ჰქონდათ თუ არა ნანახი რაიმე დოკუმენტი მიმოწერა, მემორანდუმი და ა.შ., რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ირაკლი სალუქვაძემ განმარტა, რომ დაწესებულებაში სხვა პროგრამის ფარგლებში გაფორმებული მემორანდუმი ნახეს. აქვე დასძინა, რომ 2.2 კომპონენტი შეფასებულია მეტწილი შეფასებით.

შემდეგ ირაკლი სალუქვაძემ განმარტა, რომ მათ მიერ განხორციელებული ვიზიტის შედეგად გაცემულ იქნა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები და ხარვეზი არ გამოვლენილა. გაიცა შემდეგი სახის შესაბამისობის რეკომენდაციები:

დაწესებულებამ უზრუნველყოს „ფერმერობის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის საჭირო, აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივნისის N38 დადგენილებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული, დარჩენილი აღჭურვილობების შესყიდვა, რაც დაგეგმილია დონორი ორგანიზაციის მხარდაჭერით (გაეროს განვითარების ფონდი) და დონორის მიერ მიღება-ჩაბარებით გადმოცემის ბოლო ვადა მითითებულია 2020 წლის 12 ოქტომბერი. აღნიშნული როგორც კოლეჯის, ასევე ექსპერტების მიერ შეფასებულია როგორც მეტწილი შესაბამისობა.

დაწესებულებას ასევე მიეცა განმავითარებელი რეკომენდაციები:

კომპონენტი 2.4.1.(2)

დაწესებულებამ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ასამოქმედებელ მექანიზმებში დაამატოს პროფესიული სტუდენტისთვის სწავლის დასრულების შესაძლებლობა იმ პროგრამაზე, რომელზეც ჩაირიცხა, ვინაიდან „კანონი პროფესიული განათლების შესახებ“ უშვებს პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისთვის სწავლის დასრულებას იმ პროგრამაზე რომელზეც ჩაირიცხა.

კომპონენტი 2.4.1.(5)

სასურველია პარტნიორ კომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებდეს კონკრეტულ პროგრამას/მოდულს და მიეთითოს საწარმოს გამტარუნარიანობა, თუ რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებას შეძლებს კომპანია.

კომპონენტი 2.4.2.(1)

სასურველია დაწესებულებამ თანხვედრაში მოიყვანოს "პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობებით" და „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრული ვადები პროფესიული სტუდენტისთვის მოდულის შეფასების შედეგების ინფორმირებასთან დაკავშირებით.

„პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ აღმოფხვრას პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებთან დაკავშირებით არსებული ტექნიკური უზუსტობები.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გამოცდების შედეგების გასაჩივრების/აპელაციის ვადები თანხვედრაში მოიყვანოს პროფესიული სტუდენტისთვის მოდულის შეფასების შედეგების ინფორმირებასთან დაკავშირებულ ვადებთან.

კომპონენტი 2.4.2.(2)

იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამის ხელმძღვანელს, ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება პროგრამის შემუშავების და განხორციელების პროცესში, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ხელმძღვანელის ვერიფიკაციის ჯგუფში იმ საკითხებზე/იმ შემთხვევაში ჩართვის შესახებ, რომელიც არ გააჩენს შეკითხვებს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამოწვევის შესახებ.

კომპონენტი 2.4.2.(4)

დაწესებულებამ რეგულაციაში ასახოს განმავითარებელი შეფასების ჩატარების და მის ფარგლებში პროფესიული სტუდენტებისთვის უკუკავშირის მიწოდების ფორმა.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე დარგის ექსპერტს თამარ ახალაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში დახვდათ მემორანდუმები, რომელიც სხვა პროგრამის ფარგლებში იყო გაფორმებული. თუმცა საჭიროა, არსებობდეს მემორანდუმი ამ პროგრამის ფარგლებში, რომ განხორციელდეს ეს პროგრამა.

საბჭოს წევრი შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება შეიძენდა იმ დარჩენილ აღჭურვილობას, დაწესებულებას შეუძლია ამ პროგრამის განხორციელება მემორანდუმის გარეშე, თუმცა უნდა განისაზღვროს ასევე ორგანიზაციის/კომპანიის შესაძლებლობები, თუ დაწესებულებას ექნება ის რესურსი, რომლის შეძენასაც აპირებს დონორი ორგანიზაციის დახმარებით.

ამ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებამ დააფიქსირა თავისი პოზიცია, დაწესებულების რექტორმა თეონა ხუფენიამ აღნიშნა, რომ შესყიდვების პროცესი შეჩერებული იყო ქვეყანაში არსებული შეზღუდვების გამო, რაც უკავშირდება პანდემიას, მან აღნიშნა, რომ გაეროს განვითარების პროგრამის მენეჯერის წერილში მკაფიოდ იკითხება, რომ დონორი ორგანიზაცია თავის თავზე იღებს დარჩენილი რესურსის შეძენას. მან ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი იქნა მემორანდუმი, თუმცა დაწესებულება ხელშეკრულებებს დაამატებდა. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება ვერ ხედავდა საშიშროებას, რომ ვერ მოხერხდებოდა ამ აღჭურვილობის შეძენა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ გაცემული რეკომენდაციები აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების რექტორს მონიტორინგის თარიღის ჩანიშვნის შესახებ. დაწესებულების რექტორმა მონიტორინგის ბოლო თარიღად დაასახელა 2020 წლის 10 დეკემბერი 2.2 კომპონენტის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მონიტორინგი განხორციელდებოდა ადგილზე ვიზიტით.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე დააკონკრეტა, რომ კომპონენტი 2.4 გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ფერმერობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ფერმერობის“ საგანმანათლებლო პროგრამა ქ. სენაკში (დანართი 5)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 1 აგვისტო.

მონიტორინგი ჩაინიშნოს 2020 წლის 10 დეკემბერს ვიზიტით.

6. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „რეპორტიორობა ჟურნალისტიკაში“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „რეპორტიორობა ჟურნალისტიკაში“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი „რეპორტიორობა ჟურნალისტიკაში“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე თამარ ვალიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეხუთე დონის „რეპორტიორობა ჟურნალისტიკაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის დაცვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით, ადგილზე

დოკუმენტაციის გადამოწმებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით. ვიზიტი განხორციელდა ქ. ზუგდიდში.

ექსპერტი გადავიდა წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხზე და დამსწრე საზოგადოებას განუმარტა, რომ წინა ვიზიტის შედეგად გაცემული რამდენიმე რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო.

შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თამარ ვალიშვილმა განმარტა, რომ მათ მიერ განხორციელებული ვიზიტის შედეგად გაცემულ იქნა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები და ხარვეზი არ გამოვლენილა. გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

კომპონენტი 2.2.1.(2)

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

პროგრამას „რეპორტიორობა ჟურნალისტიკაში“ განახორციელებს 12 პირი, რომლებთანაც დაწესებულებას დადებული აქვს წინარე ხელშეკრულებები. წინარე ხელშეკრულებებში არ არის გაწერილი კონკრეტულად რომელი მოდულის განხორციელებისთვის იწვევენ ამა თუ იმ პირს. ხელშეკრულებაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს - „საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულების მოდულები“; სავალდებულო / პროფესიული მოდულების პოზიციაზე და ა. შ. თუმცა, მეწარმეობის მოდულის განმახორციელებელს ზუსტად აქვს მითითებული მოდულის დასახელება. სასურველია – თუ წინარე ხელშეკრულებებშიც გაიწერება კონკრეტულად რომელი მოდულის განსახორციელებლად იწვევს დაწესებულება ამა თუ იმ პირს; ყველა მოდულში განხორციელების მისამართად მითითებულია ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას 14. თუმცა, რადგან დაწესებულებას მოდულების პრაქტიკული კომპონენტი გატანილი აქვს პრაქტიკის ობიექტებზე, ასეთ მოდულებში კარგი იქნება ორივე მისამართის მითითება.

ექსპერტების მიერ განსაზღვრული იქნა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 30.

ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას თავის პრეზენტაციაში წარუდგინა ფოტოკოლაჟი, სადაც მოცემული იყო დაწესებულების მატერიალური რესური, ბიბლიოთეკა, და სხვადასხვა გარემოს (A, B, C) აუდიტორიები.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე დარგის ექსპერტს ნინო ძაგანიას, რომელმაც აღნიშნა, რომ პროფესიული სტუდენტები რეალურ გარემოში მუშაობენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. და ეს ეფექტური უნარ-ჩვევების გამომუშავებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. დაწესებულებას აქვს გამოცდილება ამ მიმართულებით, ვინაიდან ახორციელებდა ანალოგიურ პროგრამას. ასევე დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულია ხელშეკრულება, დაწესებულებაში არის პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ ამ პროგრამის განხორციელება დაწესებულებას შეეძლო პრაქტიკის ობიექტის გარეშე. დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ გუბერნატორის წინადადებაა გაიხსნას მედია-ტექნოლოგიების კოლეჯი. ასევე მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ხორციელდება ქართული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა, ამ პროგრამის კურსდამთავრებულები გადამზადდებიან ჟურნალისტიკაში.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2.4 კომპონენტის სრული შესაბამისობა შეიცვალოს მეტწილი შეფასებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „რეპორტიორობა ჟურნალისტიკაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „რეპორტიორობა ჟურნალისტიკაში“ საგანმანათლებლო პროგრამა ქ. ზუგდიდში **(დანართი 6)**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 1 აგვისტო.

7. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „პირის ღრუს ჰიგიენისტი“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „პირის ღრუს ჰიგიენისტი“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი „პირის ღრუს ჰიგიენისტი“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე თამარ ვალიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების

შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეოთხე დონის „პირის ღრუს ჰიგიენისტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის დაცვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით, ადგილზე დოკუმენტაციის გადამოწმებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით. ვიზიტი განხორციელდა ქ. ზუგდიდში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თამარ ვალიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება იმატებს საგანმანათლებლო პროგრამას, და ასევე ხდება ინტეგრირება, პროფესიული სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა არის 40, ხოლო ინტეგრირებული მოდულებისთვის - 20. ამ პროგრამის განხორციელებას დაწესებულება აპირებს ორ ცვლაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2.3 და 2.4 კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია, თუმცა დაწესებულებას ამ კომპონენტის ნაწილში ჰქონდა მეტწილი შეფასება.

შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მათ მიერ განხორციელებული ვიზიტის შედეგად გაცემულ იქნა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები და ხარვეზი არ გამოვლენილა. გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

კომპონენტი 2.1.5.

საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან; არჩევითი მოდულები არ შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობას. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია „პირის ღრუს ჰიგიენისტი“ საგანმანათლებლო პროგრამაში შეიცვალოს არსებული არჩევითი მოდულები.

კომპონენტი 2.2.1.(1)

ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ არჩევითი მოდულები ერთი ჩარჩო დოკუმენტის და ერთი კვალიფიკაციის ფარგლებშია არჩეული, ორიენტირებულია ცალკეული კომპეტენციების განვითარებაზე და არა „კბილის სატექნიკო საქმის“ ფარგლებში დასაქმებაზე. ამიტომ ექსპერტების რეკომენდაცია, რომ არჩევითი მოდულები არ შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობას, არარელევანტურია.

რეკომენდებულია ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა, რაც აუცილებელი პირობაა პრაქტიკული – ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარებისთვის, კერძოდ, უნდა მოხდეს ისეთი მნიშვნელოვანი პირობების დაკმაყოფილება, როგორცაა მუდმივი წყლის მიწოდების უზრუნველყოფა, ცეცხლმაქრი, სპეციალური ლაბორატორიული ავეჯი. აუცილებელია ამ გარემოს სრულად ადაპტირება პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცადინეობის ჩატარებისთვის.

დაწესებულება ეთანხმება ამ რეკომენდაციას, ვიზიტის შემდეგ ეს რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა.

პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ხელშეკრულებებს არა აქვს დანართი, სადაც იქნება წარმოდგენილი იმ მოდულების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელებაც იგეგმება პრაქტიკის ობიექტზე, ასევე არ აქვს მოდულებით გათვალისწინებული მასალა-ნედლეულის ჩამონათვალი. რეკომენდირებულია ხელშეკრულებებში აისახოს შესაბამისი ინფორმაცია.

ექსპერტების მიერ არ დაფიქსირებულა ხარვეზი, გაიცა რეკომენდაცია:

კომპონენტი 2.2.1.(2)

პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა (8) და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ითვალისწინებს 11 საერთო პროფესიულ და 6 პროფესიულ მოდულს და პროგრამის განხორციელება იგეგმება 3 წლის განმავლობაში, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გაზარდოს პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირების რაოდენობა.

ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას ასევე წარუდგინა ფოტოკოლაჟი, სადაც მოცემული იყო დაწესებულების მატერიალური რესური, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი და სხვადასხვა გარემოს (A, B, C) აუდიტორიები.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების რექტორს მონიტორინგის თარიღის ჩანიშვნის შესახებ. დაწესებულების რექტორმა მონიტორინგის ბოლო თარიღად დაასახელა 2020 წლის 10 ოქტომბერი, 2.2 კომპონენტის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მონიტორინგი განხორციელდებოდა ადგილზე ვიზიტით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „პირის ღრუს ჰიგიენისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) მიენიჭოს უფლება

დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „პირის ღრუს ჰიგიენისტი“ საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები ქ. ზუგდიდში (დანართი 7)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 1 აგვისტო.

მონიტორინგი ჩაინიშნოს 2020 წლის 10 ოქტომბერს ვიზიტით.

8. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე თამარ ვალიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეხუთე დონის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის დაცვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით, ადგილზე დოკუმენტაციის გადამოწმებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით. ვიზიტი განხორციელდა ქ. ზუგდიდში.

ექსპერტების შეფასებით ოთხივე კომპონენტი შეფასდა სრულად, თუმცა დაწესებულებას 2.3 და 2.4 კომპონენტის ფარგლებში დაფიქსირებული აქვს მეტწილი შესაბამისობა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას განაცხადით მოთხოვნილი აქვს 45 პროფესიული სტუდენტი, თუმცა დაწესებულება გეგმავს ერთ მიღებაზე 15

პროფესიული სტუდენტის მიღებას, მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არის გამართული მატერიალური და ადამიანური რესურსი.

შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თამარ ვალიშვილმა განმარტა, რომ მათ მიერ განხორციელებული ვიზიტის შედეგად ხარვეზი არ დაფიქსირებულა, სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა, გაიცა განვითარების რეკომენდაცია:
განმავითარებელი

კომპონენტი 2.2.1.(2)

პროგრამის განმახორციელებლებთან წინარე ხელშეკრულებებში არ არის გაწერილი კონკრეტულად რომელი მოდულის განხორციელებისთვის იწვევენ ამა თუ იმ პირს. ხელშეკრულებაში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს - „საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულების მოდულები“; სავალდებულო / პროფესიული მოდულების პოზიციაზე და ა . შ . სასურველია, თუ წინარე ხელშეკრულებებშიც გაიწერება კონკრეტულად რომელი მოდულის განსახორციელებლად იწვევს დაწესებულება ამა თუ იმ პირს; ყველა მოდულში განხორციელების მისამართად მითითებულია ქ . ზუგდიდი, ჯანაშიას 14. თუმცა, რადგან დაწესებულებას მოდულების პრაქტიკული კომპონენტები გატანილი აქვს პრაქტიკის ობიექტებზე, ასეთ მოდულებში სასურველი იქნებოდა ორივე მისამართის მითითება.

ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას ასევე წარუდგინა ფოტოკოლაჟი, სადაც მოცემული იყო დაწესებულების მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი და სხვადასხვა გარემოს (A, B, C) აუდიტორიები.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე დარგის ექსპერტს იაზონ დანელიას, რომელმაც აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები არიან კვალიფიციურები.

საბჭომ თავმჯდომარემ დააფიქსირა, რომ 2.4 კომპონენტში სრული შეფასება შეიცვალოს მეტწილით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) მიენიჭოს უფლება

დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების“ საგანმანათლებლო პროგრამა ქ. ზუგდიდში (დანართი 8)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 1 აგვისტო.

9. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ნინო ბალანჩივაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეხუთე დონის „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის დაცვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით, ადგილზე დოკუმენტაციის გადამოწმებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით. ვიზიტი განხორციელდა ქ. ზუგდიდში.

შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ბალანჩივაძემ განმარტა, რომ მათ მიერ განხორციელებული ვიზიტის შედეგად ხარვეზი არ გამოვლენილა, ასევე არ გაუციათ არც სტანდარტთან შესაბამისობის და არც განვითარების რეკომენდაციები.

მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ განაცხადით მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 60, მან დაადასტურა, რომ დაწესებულება შეძლებს 60 პროფესიული სტუდენტის სწავლებას და აქვე დაამატა, რომ დაწესებულებას აქვს გაფორმებული ხელშეკრულება შვიდ სკოლამდელ დაწესებულებასთან.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე დარგის ექსპერტს ქეთევან ღვანიძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამას ახორციელებს პრაქტიკოსი სპეციალისტები, რომლებიც დასაქმებული არიან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია დაწესებულების განვითარებისთვის.

საბჭომ თავმჯდომარემ დააფიქსირა, რომ 2.4 კომპონენტში სრული შფასება შეიცვალოს მეტწილით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამა ქ. ზუგდიდში **(დანართი 9)**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 1 აგვისტო.

10. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ფარმაციის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „ფარმაციის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ

საქმის მასალები - განაცხადი „ფარმაციის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ფრიდონ გოგიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეხუთე დონის „ფარმაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის დაცვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით, ადგილზე დოკუმენტაციის გადამოწმებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით. ვიზიტი განხორციელდა ქ. სენაკში.

შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ფრიდონ გოგიაშვილმა განმარტა, რომ მათ მიერ განხორციელებული ვიზიტის შედეგად ხარვეზი არ გამოვლენილა. გაიცა შემდეგი სახის განვითარების რეკომენდაციები:

1. სასურველია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო „C“ გარემოში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დამონტაჟდეს ცეცხლმაქრი (2.4.1.6);
2. სასურველია სწავლების ხარისხის ამაღლების და ეფექტური კომუნიკაციის განხორციელების მიზნით სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის სასწავლო ბაზაზე მუდმივად იმყოფებოდეს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.

მან ასევე აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტში იყო ასევე ერთი რეკომენდაცია, რომელიც არ ჩაიწერა საბოლოო დასკვნაში, ვინაიდან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ არ ჩათვალეს საჭიროდ.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, ხომ არ შეუშლიდა ხელს „ფარმაციის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას მოდული „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, თუმცა ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ეს ხელს არ შეუშლიდა პროგრამის განხორციელებას.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე დარგის ექსპერტს ინგა ბაქრაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი ქ. სენაკში, პრაქტიკის ოთხ ობიექტთან.

ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას ასევე წარუდგინა ფოტოკოლაჟი, სადაც მოცემული იყო დაწესებულების მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი და სხვადასხვა გარემოს (A, B, C) აუდიტორიები.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ფარმაციის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ფარმაციის“ საგანმანათლებლო პროგრამა ქ. სენაკში **(დანართი 10)**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 1 აგვისტო.

11. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ფრიდონ გოგიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეხუთე დონის „სკოლამდელი

აღზრდის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის დაცვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით, ადგილზე დოკუმენტაციის გადამოწმებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით. ვიზიტი განხორციელდა ქ. სენაკში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ფრიდონ გოგიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა არის - 60, მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტების შეფასებით, მხოლოდ 2.4 კომპონენტი შეფასდა მეტწილად, ხოლო 2.1; 2.2; 2.3 კომპონენტი სრულად.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე დარგის ექსპერტს ქეთევან ღვანიძეს, რომელმაც პრაქტიკის ობიექტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ბაღების გაერთიანებასთან, რომელიც იღებს პასუხისმგებლობას 2 ბაღში უზრუნველყოს პროფ. სტუდენტების მიღება, ერთდროულად 6-6 პროფესიული სტუდენტი. მან ასევე აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსი, შერჩეულია ყველა პრაქტიკოსი სპეციალისტი, დასძინა, რომ ისინი გამოხატავენ მზაობას ამ პროგრამის განხორციელებისთვის.

შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მათ მიერ განხორციელებული ვიზიტის შედეგად გაცემულ იქნა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები და ხარვეზი არ გამოვლენილა. გაიცა შემდეგი სახის განვითარების რეკომენდაციები:

1. სასურველია სწავლების ხარისხის ამაღლების და ეფექტური კომუნიკაციის განხორციელების მიზნით შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის სასწავლო ბაზაზე მუდმივად იმყოფებოდეს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი (2.3.1.2);

ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას ასევე წარუდგინა ფოტოკოლაჟი, სადაც მოცემული იყო დაწესებულების მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი და სხვადასხვა გარემოს (A, B, C) აუდიტორიები.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნეს, რომ გაცემული რეკომენდაციები ღირებულია და მნიშვნელოვანია დაწესებულების განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სკოლამდელი აღზრდის“ საგანმანათლებლო პროგრამა ქ. სენაკში (**დანართი 11**)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 1 აგვისტო.

12. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა აღნიშნულ ვიზიტში მონაწილე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომელმაც დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით და განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, ქ. სენაკში, წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და მოახდინა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის მოდულების განმახორციელებელი მასწავლებლების ინტერვიუება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლების პირადი საქმეები, გაეცნო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მარეგულირებელ დოკუმენტებს და გადაამოწმა მათი გამოყენების პირობები. ვიზიტის ბოლოს ჯგუფის წევრებმა ძირითადი მიგნებები გააცნეს დაწესებულების წარმომადგენლებს.

ვიზიტის მსვლელობის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია:

კომპონენტი 2.1.1

1. დაწესებულებას აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ-კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის წესი, რომლითაც ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს აკადემიური საბჭო და იქვე განსაზღვრავს პროგრამის ავტორიზაციაზე უარის თქმის შემთხვევაში დადგენილების არარად ჩათვლის პირობას. კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 ივნისის N34 დადგენილებით, თუმცა დადგენილება არ მოიცავდა ავტორიზაციაზე უარის თქმის შემთხვევაში არარად ჩათვლის პირობას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, როდესაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება იქნება უარყოფითი, მხოლოდ მაშინ გამოიცემა დადგენილება შესაბამისი პროგრამის გაუქმების შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ რეგულაციაში აღნიშნული ჩანაწერი ამ ინფორმაციის მატარებელი არ არის, სასურველია რეგულაციაში შევიდეს ცვლილება, ან დადგენილება მოვიდეს შესაბამისობაში შემუშავებულ რეგულაციასთან. პროგრამის შეფასებისას გამოიკვეთა შემდეგი:

2. ქართული ენის მოდულებში გაპარულია რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი, რადგან ჩარჩენილია სიტყვები „სარეკომენდაციო“, „მინიმალური“. შესაბამისად, სასურველია პროგრამაში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი.

კომპონენტი 2.2.1

1. ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პირებს ხელშეკრულებაში მითითებული აქვთ მათ მიერ განსახორციელებელი მოდულები, განსხვავებით პროფესიული მოდულების განმახორციელებლებისგან. გაფორმებულ წინამდებარე ხელშეკრულებებში სასურველია გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც დაკავშირებულია მოდულის სახელწოდებებთან. მაგალითად, მოდულის სახელწოდებაა „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია ბიოლოგია, ხოლო განმახორციელებელ პირს ხელშეკრულებაში მითითებული აქვს „მეცნიერება (ბიოლოგია)“. ასევე, სასურველია პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელთა მსგავსად ხელშეკრულებაში მიეთითოს, თუ რომელი მოდულების განმახორციელებლებად მოიაზრებიან.

7. დაწესებულებას საპროგნოზო ბიუჯეტში მითითებული აქვს პროგრამის სწავლის საფასური/ოდენობა, თუმცა შემოსავლების სახეობაში არ უთითებს, თუ რა სახის შემოსავალს/დაფინანსებას იღებს. დაწესებულებას ხარჯების ნაწილში გაწერილი აქვს მხოლოდ

მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, მასალა-ნედლეულის, ინვენტარის ხარჯი. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, გაწეროს შემოსავლების სახეობა და ყველა ის ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია პროგრამის განხორციელებასთან.

კომპონენტი 2.3.1

1. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა შეუძლია როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, ცენტრში წინადადებების ინიცირების გზით, სასურველია აღნიშნული იკვეთებოდეს დაწესებულების რეგულაციაში. კერძოდ: საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში პროგრამების გაუმჯობესება შესაძლოა უკავშირდებოდეს თემატიკის გამრავალფეროვნებას, სწავლების მეთოდების შეცვლას, მოდულის განხორციელების მიდგომების შეცვლას, პროფესიული განათლების მასწავლებლის შეცვლას და სხვა. დამსაქმებლიდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზება დაწესებულებას მისცემს საშუალებას დაადგინოს, თავად უნდა შეცვალოს პროგრამაში სწავლების მიდგომები, თუ უნდა მიმართოს ცენტრს ინიციატივით პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ (იმ შემთხვევაში, თუ გაჩნდა ახალი უნარი ბაზარზე, რომელსაც მიმდინარე პროგრამა ვერ ფარავს). გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას არ აქვს უფლება შეიტანოს ცვლილება სწავლის შედეგებში, ასეთი ცვლილებების განხორციელებისათვის ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ცენტრს. ასევე, იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განხორციელებისას დაწესებულებამ აღმოაჩინა სწავლის შედეგებში, შეფასების კრიტერიუმებში, კომპეტენციის პარამეტრის ფარგლებში ან შეფასების მიმართულებებში გარკვეული ტიპის უზუსტობები.

კომპონენტი 2.4.1

დაწესებულებას აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული აქვს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც ირკვევა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალურად ახდენს მოდულის შეფასების შედეგების ინფორმირებას შეფასებიდან ერთი კვირის განმავლობაში. პროფესიული სტუდენტის მიერ წინაპირობის მქონე მოდულის წინმსწრები მოდულის შეფასებისას შედეგის არდადასტურების შემთხვევაში განსაზღვრული სწავლის შედეგების დამატებით მიღწევის შესაძლებლობა სტუდენტს ეძლევა ერთხელ. თუ გავითვალისწინებთ, რომ განმეორებითი შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეძლევა სწავლის შედეგის ვერდადასტურების შემთხვევაში, ხოლო ინფორმირება გათვალისწინებულია ერთი კვირის ვადაში, საინტერესოა ერთი კვირის ინტერვალის გათვალისწინებით, როგორ ტარდება განმეორებითი შეფასება. ასევე, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლის (სპეციალისტის) შემდეგში „მასწავლებელი“ სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესით ირკვევა, რომ მასწავლებელი შეფასებიდან 3 დღეში აცნობს პროფესიულ სტუდენტს ინფორმაციას. შესაბამისად, დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციებში ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაა მოცემული. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია რეგულაციებში გასწორდეს შეუსაბამობები.

პროფესიული სტუდენტი უფლებამოსულია გამოცდების შედეგებიდან/მოდულების დადასტურებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს რექტორს განცხადებით და მოითხოვოს მტკიცებულებების გაცნობა და გადასინჯვა. საჩივრის განხილვის მიზნით, რექტორის ბრძანებით იქმნება დროებითი სააპელაციო კომისია, რომელიც ვალდებულია განიხილოს საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება საჩივრის შემოტანიდან მაქსიმუმ 5 სამუშაო დღის ვადაში. სასურველია დაკონკრეტდეს, რა იგულისმება შემდეგ ჩანაწერში „გამოცდების შედეგებიდან/მოდულების დადასტურებიდან“, დაკონკრეტდეს რამდენ დღეში იქმნება სააპელაციო კომისია, თუ საჩივარი უნდა განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს კომისიამ შემოტანიდან 5 სამუშაო დღეში, რამდენი დღე ეძლევა განსახილველად. ასევე, სასურველია

მოდულებს შორის ინტერვალი დარეგულირდეს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს განმეორებითი შეფასების ჩატარება, ან რეგულაციაში შევიდეს ცვლილება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ერთკვირიან ინტერვალში განმეორებითი შეფასების განხორციელება.

სასურველია მემორანდუმში მითითებული იყოს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, ასევე მოდული, რომლის განხორციელების ვალდებულებასაც ორგანიზაცია იღებს თავის თავზე და გაწეროს მოდულის განხორციელების მიზნებისთვის შესაბამისი ინვენტარი, აღჭურვილობის ჩამონათვალი.

6. უსაფრთხო სასწავლო გარემოში, სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით ქიმიის ლაბორატორიაში სასურველია განთავსდეს ცეცხლმაქრი.

კომპონენტი 2.4.2

დაწესებულების მიერ მეტწილად არის შეფასებული, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულების რეგულაცია და ვერიფიკაციის მექანიზმები არ პასუხობს არსებულ მოთხოვნებს, არეულია ვალიდაციის და ვერიფიკაციის პროცესები, არ იკვეთება არის თუ არა შეფასების სისტემა ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. ამ მიზნით წარმოდგენილია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივნისის დადგენილებით დამტკიცებული შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 ივნისის N34 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენილი ცვლილებების დამტკიცებისა და აღნიშნული პროგრამების განხორციელების შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის გეგმები. გაწერილია იდენტიფიცირებული პრობლემები, აქტივობები, სტანდარტისა და კომპონენტის ნომერი და შესაბამისობის ტიპი, აქტივობის დაწყებისა და დასრულების თარიღი, პასუხისმგებელი პირები, რესურსები და სხვა. სასურველია შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის გამო შევიდეს რეგულაციაში ცვლილებები. სასურველია ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს როგორ იქმნება ვერიფიკაციის ჯგუფი, ვინ ამტკიცებს, ვინ შედის, როგორ განისაზღვრება შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულების რაოდენობა, არსებული რესურსი და სხვადასხვა რისკ-ფაქტორები. მნიშვნელოვანია შემუშავდეს რისკების რეესტრი, რის საფუძველზეც მოხდება იმ ინსტრუმენტების და მტკიცებულებების იდენტიფიცირება, სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობა შეიძლება იყოს. ასევე, სასურველია რეგულაციით მკაფიოდ იკვეთებოდეს, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციაზე პასუხისმგებელი პირები, არ მოახდენენ იმავე ინსტრუმენტებით შექმნილ მტკიცებულებათა ვერიფიკაციას, ინტერესთა კონფლიქტის გამოსარიცხად. საბოლოოდ ვერიფიკაციის პროცესი სასურველია დასრულდეს ვერიფიკაციის დასკვნის შედგენითა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგით. მნიშვნელოვანია, რომ შედეგები გამოყენებული იყოს შემდგომი განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნანა ყუფუნია მამართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ ამდენი სპეციალისტის საჭიროება არის თუ არა რეგიონში, რაზეც ექსპერტმა გააკეთა განმარტება, რომ რეგიონში, ზოგადად, არის სპეციალისტების დეფიციტი, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში უფრო გაიზარდა მოთხოვნა ამ სპეციალისტებზე.

დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ ქ. სენაკში ამ პროგრამის განხორციელება არ ნიშნავს, რომ მხოლოდ სენაკით შემოიფარგლება დასაქმება, ამავდროულად არის დიდი მოთხოვნა ხობში, ჩხოროწყუში.

საბჭოს წევრი შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, ვინაიდან დაწესებულება ინტეგრირების პილოტირებაში იღებდა მონაწილეობას, მოდულის განმახორციელებლები იგივე იყო, თუ დაწესებულებამ სხვა პირები აიყვანა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ნაწილობრივ ძველი კადრები არიან ჩართული პროგრამაში, ასევე კონკურსის წესით არჩეულ იქნა მასწავლებლები.

რაც შეეხება სენაკის ფართზე არსებულ ლაბორატორიას, ეს ლაბორატორია მოემსახურება როგორც ფარმაციის პროგრამას, ასევე ამ ლაბორატორიაში განხორციელდება მოდული „მეცნიერება და ტექნოლოგიები“.

აქედან გამომდინარე, ერთ მიღებაზე დაწესებულებას არსებულ ფართზე შეუძლია მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი ამ პროგრამაზე, ხოლო ინტეგრირებულზე 20 პროფესიული სტუდენტი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე და 62-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 220407888) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები ქ. სენაკში **(დანართი 12)**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 1 აგვისტო.

საბჭოს თავმჯდომარემ შეაჯამა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამების განხილვა. ჯამში, განხილულ იქნა 12 პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის უფლებამოსილების მინიჭების საკითხი, აქედან 5 - ინტეგრირებული.

დაწესებულების ზუგდიდის ლოკაციასთან დაკავშირებით გაჩნდა არაერთი კითხვა. იქედან გამომდინარე, რომ სხვა პროფესიული პროგრამებიც ხორციელდება და ამჯერადაც დაწესებულება ერთდროულად 12 პროგრამას იმატებს, საინტერესოა, გასწვდება თუ არა დაწესებულება ამდენ პროგრამას ერთდროულად. მათ შორის, სხვადასხვა პროფესიული პროგრამის (ფარმაცია, ინტეგრირებული მოდული „მეცნიერება და ტექნოლოგიები“) განხორციელების პროცესში არ მოხდეს გადაფარვა აკადემიურ პროგრამებთან რესურსების (სასწავლო გარემოს, ინტეგრირებული პროგრამებისთვის საჭირო ლაბორატორიის და ა.შ.) გამოყენების თვალსაზრისით, და ა.შ. შესაბამისად, საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, დაწესებულებაში განახორციელოს გეგმიური მონიტორინგი გონივრულ ვადაში, რის ფარგლებშიც სრულად უნდა შემოწმდეს დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან.

13. სსიპ -გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე აღინა კუპრავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და იქიდან გამომდინარე, რომ ტექნიკური ხარვეზი იყო ონლაინ ჩართვასთან დაკავშირებით, მან საბჭოს მიმართა შუამდგომლობით პრეზენტაცია წარმოედგინა დარგის ექსპერტს. საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეოთხე დონის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის დაცვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა დისტანციური ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით.

საბჭოს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა ექსპერტებს, წარმოედგინათ პრეზენტაციაში ის კომპონენტები, რომელთა შეფასებისას არ იყო თანხვედრა ექსპერტების და დაწესებულების შეფასებას შორის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2.1 კომპონენტის ნაწილში არის სრული შესაბამისობა, 2.2. კომპონენტის ნაწილში მეტწილი, 2.3 კომპონენტის ფარგლებში სრული, ხოლო 2.4 კომპონენტის ფარგლებში მეტწილი.

ექსპერტმა დააზუსტა, თუ რატომ შეაფასა ექსპერტთა ჯგუფთა 2.2 კომპონენტი მეტწილით, მან აღნიშნა რომ დაწესებულებას არა აქვს სრული აღჭურვილობა, რომელიც საჭიროა პროგრამის განსახორციელებლად, თუმცა მან ასევე აღნიშნა, რომ არსებობს ხელშეკრულება, თუმცა შესყიდვის პროცესი რა სტადიაზეა, ექსპერტებმა ვიზიტის პერიოდში ვერ დააზუსტეს, რაც შეეხება 2.4 კომპონენტის მეტწილად შეფასებას, ამასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ კომპონენტში მეტწილი შეფასება გამოწვეული იყო იმით, რომ დაწესებულებას სასწავლო

გეგმაში არ ჰქონდა დაცული მოდულებს შორის ერთკვირიანი შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას განაცხადის მიხედვით მოთხოვნილი აქვს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 20 პროფესიული სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაინტერესდა, პროგრამის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით და თხოვა ექსპერტს დაეფიქსირებინა პოზიცია პროგრამის დამატების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა კვლევები, საიდანაც ჩანდა, რომ არის ტოპოგრაფისტების ნაკლებობა და დაამატა, რომ 20 პროფესიული სტუდენტი არ არის ის რაოდენობა, რომ ექსპერტებს ეჭვქვეშ დაეყენებინათ დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევა და შესაბამისად ის მოთხოვნილი რაოდენობა, რაც დააფიქსირა დაწესებულებამ განაცხადში.

ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვა უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ციური დურულმა, მან აღნიშნა, რომ 2016 წლიდან დაიწყო მიწის პასპორტიზაცია და როგორც ჩვენს რეგიონში, ასევე მთელ საქართველოში არის დიდი მოთხოვნა ამ სპეციალისტებზე, მან აღნიშნა, რომ არსებობს შესაბამისი ბიუროები, თუმცა ბიუროებში არ ყავთ სპეციალისტები.

2.2 კომპონენტის მეტწილ შესაბამისობასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტრომ თანხმობა მისცა დაწესებულებას და დაწესებულებაში უკვე არის თანხის ჩარიცხვის დოკუმენტი, თუმცა მან ასევე აღნიშნა, რომ ტენდერი ჯერ არ გამოცხადებულა. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება არის შესყიდვის სტადიაზე, თუმცა დარჩენილია 32000 ლარის ღირებულების რესურსების შესყიდვის პროცესი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მათ მიერ განხორციელებული ვიზიტის შედეგად გაცემულ იქნა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები და ხარვეზი არ გამოვლენილა. გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

კომპონენტი 2.2.

ინდიკატორი 1. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაცია: შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში დაწესებულებაში მობილიზებული იქნეს შესყიდვის ხელშეკრულებით წარმოდგენილი მატერიალურ - ტექნიკური რესურსები.

კომპონენტი 2.4.1

ინდიკატორი 2. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაცია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში დაწესებულებამ გაითვალისწინოს მინიმუმ ერთკვირიანი შუალედი დაშვების წინაპირობის მქონე მოდულსა და პრერეკვიზიტ მოდულებს შორის პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების დადასტურების განმეორებით ჩასატარებლად.

საბჭოს თხოვნით მიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ კომენტარი გაეკეთებინა ამ საკითხთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ დიდი პრობლემაა ის საკითხი, რომ დაწესებულება რეალურად ვერ ხედავს საკუთარ ხარვეზებს, ანუ თვითშეფასებაში არ არის ობიექტური, მან დასძინა, რომ თუ დაწესებულებას არ ჰქონდა აღჭურვილობა თვითშეფასებაში რატომ არ დააფიქსირა ფაქტობრივი მდგომარეობა, მან ასევე აღნიშნა, რომ ცენტრისთვის მნიშვნელოვანია დაწესებულების მიდგომა თვითშეფასების მიმართ.

დაწესებულებამ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ შესყიდვის პროცესი ვიზის განხორციელებამდე დასრულდებოდა.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ვიზიტში მონაწილე ექსპერტს ირაკლი მანველიძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ არ ხდება დაწესებულებაში აკადემიური და პროფესიულ პროგრამებს შორის კვეთა.

მსჯელობა გამოიწვია შემდგომი მონიტორინგის თარიღის ჩანიშვნის საკითხმა. მონიტორინგის ბოლო თარიღად განისაზღვრა 30 ოქტომბერი, 2.2 კომპონენტის ნაწილში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხულ იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 218076542) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 13)**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 1 აგვისტო.

მონიტორინგი ჩაინიშნოს 2020 წლის 30 ოქტომბერს ვიზიტით.

14. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე თეა ლილუაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ -

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეხუთე დონის „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა დისტანციურად წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის დაცვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ონლაინ ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით, დოკუმენტაციის გადამოწმებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით.

ონლაინ ჩართვის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ ორ პარტნიორ ორგანიზაციას, მათ დაადასტურეს, რომ ნამდვილად არის კადრების დეფიციტი და მნიშვნელოვანია ამ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება.

ექსპერტების მიერ კომპონენტები შეფასდა შემდეგნაირად:

2.1 - სრული; 2.2 მეტწილი (თუმცა დაწესებულებას ეს კომპონენტი შეფასებული ჰქონდა სრულად); 2.3. სრული; ხოლო 2.4 მეტწილად.

შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მათ მიერ განხორციელებული ონლაინ ვიზიტის შედეგად გაცემულ იქნა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები და ხარვეზი არ გამოვლენილა. გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

შესაბამისობის რეკომენდაციები

კომპონენტი 2.4.1.

სასწავლო გეგმაში, წინაპირობების მქონე მოდულების შემთხვევაში, მოდულის დამთავრებასა და ახალი მოდულის დაწყებას შორის განისაზღვროს შუალედი, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლის შედეგების განმეორებით დადასტურების შესაძლებლობა.

კომპონენტი 2.4.2.

შეფასების რეგულაციაში განისაზღვროს რომელი ინსტრუმენტი (უკვე გამოყენებული თუ სხვა) გამოიყენება სწავლის შედეგის განმეორებითი დადასტურების დროს, რა ვადებში უნდა მოხდეს ნამუშევრების გასწორება და შეფასება.

ასევე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2.2 კომპონენტი ექსპერტებმა შეაფასეს მეტწილ შესაბამისობაში, ვინაიდან დაწესებულებას სრულად არ ჰქონდა წარმოდგენილი რესურსები „საექთნო განათლების“ პროგრამის განხორციელებისთვის. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით მცირე ნაწილი ვიზიტის დროს იყო შესყიდვის პროცესში. დაწესებულებამ წარმოადგინა მომწოდებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. შესყიდვის ხელშეკრულებები გაფორმებულია 2020 წლის პირველ და 2 ივლისს. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადად ერთ შემთხვევაში განსაზღვრულია 2 კალენდარული დღე, მეორე შემთხვევაში 7 კალენდარული დღე, ხოლო მესამე ხელშეკრულებით მიწოდების ვადად 2020 წლის 31 ივლისია განსაზღვრული.

დაწესებულებამ წარმოადგინა საბჭოს სხდომაზე დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებდა დარჩენილი ინვენტარის შექმნას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხულ იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 1

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 218076542) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 14)**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 1 აგვისტო.

15. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მადონა გოგობერიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დისტანციურად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეოთხე დონის „კომპიუტერული

ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის დაცვით. ონლაინ ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით, დოკუმენტაციის გადამოწმებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით.

შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მათ მიერ განხორციელებული ვიზიტის შედეგად გაცემულ იქნა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები და ხარვეზი არ გამოვლენილა. გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

კომპონენტი 2.2.1

დაწესებულებამ სრულად შეიძინოს სასწავლო პროცესისთვის საჭირო აღჭურვილობა დანართი N4-ში გაწერილი პარამეტრების შესაბამისად და წარმოადგინოს ფლობის შესაბამისი დოკუმენტაცია.

გაუმჯობესების რეკომენდაცია

კრიტერიუმი 3

სასურველია, დაწესებულებას ჰქონდეს CISCO -ს ქსელური აკადემიის სასწავლო რესურსთან წვდომა და სწავლება მიმდინარეობდეს აღნიშნული რესურსის გამოყენებით, რადგან წარმოდგენილი პროგრამა შექმნილი და დაფუძნებულია cisco - ს სასწავლო რესურსსა და კურიკულუმზე

კრიტერიუმი 5

სასურველია, დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებული პროგრამის განხორციელებისთვის სავალდებლო სასწავლო ელექტრონული რესურსი წარმოდგენილი იყოს პროგრამების მიხედვით, რათა პროფესიულ სტუდენტებს გაუადვილდეს მათთვის საჭირო რესურსთან წვდომა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს მონიტორინგის თარიღის ჩანიშვნის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მონიტორინგის ბოლო თარიღად დაასახელა 2020 წლის 30 ოქტომბერი, 2.2 კომპონენტის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მონიტორინგი განხორციელდებოდა ადგილზე ვიზიტით.

2.4 კომპონენტის ნაწილში შეფასება სრული შესაბამისობა, შეიცვალოს მეტწილი შეფასებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხულ იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 218076542) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 15)**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 1 აგვისტო.

მონიტორინგი ჩაინიშნოს 2020 წლის 30 ოქტომბერს ვიზიტით.

16. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე აღინა კუპრავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მიმართა საბჭოს თხოვნით, ტექნიკური ხარვეზის გამო პრეზენტაცია წარედგინა დარგის ექსპერტს. საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დისტანციურად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეოთხე დონის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის დაცვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით დისტანციურად, დოკუმენტაციის გადამოწმებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით.

შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მათ მიერ განხორციელებული ვიზიტის შედეგად გაცემულ იქნა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია და ხარვეზი არ გამოვლენილა. გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაცია:

კომპონენტი 2.4.1(2)

დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში გაითვალისწინოს მინიმუმ ერთკვირიანი შუალედი დაშვების წინაპირობის მქონე მოდულსა და პრერეკვიზიტ მოდულებს შორის პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების დადასტურების განმეორებით ჩასატარებლად.

ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას ასევე წარუდგინა ფოტოკოლაჟი, სადაც მოცემული იყო დაწესებულების მატერიალური რესური, ბიბლიოთეკა, სამედიცინო კაბინეტი და სხვადასხვა გარემოს (A, B, C) აუდიტორიები.

დარგის ექსპერტმა მანანა მოისწრაფიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმები კომპანიებთან შპს „კავკასიის ავტომპორტი“ და შპს „ჯენერალ ლოჯისტიკი“, თითოეულში მითითებული პროფესიული სტუდენტის რაოდენობა არაუმეტეს 5 პროფესიული სტუდენტისა, ჯამში არაუმეტეს 10 პროფესიული სტუდენტისთვის. მემორანდუმები გაფორმებულია უვადოდ მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კვოტა პროგრამაზე შეადგენს 20 პროფესიულ სტუდენტს, ხოლო პრაქტიკის განხორციელებისთვის ხელშეკრულებები გაფორმებულია მხოლოდ 10 პროფესიული სტუდენტისთვის, შესაბამისად, ამ პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობად შესაძლებელია განისაზღვროს მაქსიმუმ 10-ით.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით დაწესებულების ვებგვერდზე, (<http://gu.edu.ge/ge/library>), ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონული და მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში; ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. „სატვირთო გადაზიდვების ლოჯისტიკის“ პროგრამა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

დარგის ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; პროფესიულ პროგრამებზე წელიწადში მიღება შესაძლებელია გამოცხადდეს ორჯერ, როგორც საგაზაფხულო, ასევე საშემოდგომო. სასწავლო გეგმით განისაზღვრება თითოეული პროგრამის ხანგრძლივობა და დასრულებისათვის მისაღწევი შედეგები, ანუ იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელთაც პროფესიული სტუდენტი უნდა ფლობდეს პროგრამის დამთავრებისას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხულ იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 218076542) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 16)**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 1 აგვისტო.

17. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის ფარმაცია (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „ფარმაციის (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი „ფარმაციის (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მადონა გოგობერიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მეხუთე დონის „ფარმაციის (სააფთიაქო)“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით დისტანციურად. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ონლაინ ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის დაცვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით, ადგილზე დოკუმენტაციის გადამოწმებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით.

შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მათ მიერ განხორციელებული ვიზიტის შედეგად ხარვეზი არ გამოვლენილა. არ გაცემულა რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ყველა კომპონენტში არის სრული შესაბამისობა, ექსპერტებმა დააფიქსირეს მოთხოვნილი ადგილების ზღვრული რაოდენობა - 50.

ექსპერტთა ჯგუფს თავდაპირველად 2.2 კომპონენტი შეფასებული ჰქონდა მეტწილით, თუმცა დარგის ექსპერტმა ინგა ბაქრაძემ საბჭოს სხდომაზე აღნიშნა, რომ ვინაიდან დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტი, დასკვნის პროექტში დაფიქსირებული მეტწილი შესაბამისობა 2.2 -ში შეიცვალა სრულით.

საბჭომ 2.4 კომპონენტში დააფიქსირა მეტწილი შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „ფარმაციის (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხულ იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 218076542) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ფარმაციის (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 17)**

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 1 აგვისტო.

18. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის „საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს „საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი „საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ ვიზიტში მონაწილე ექსპერტებს სთხოვა, დაეწყოთ საკითხის განხილვა და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ვახტანგ ბოგველიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მესამე დონის „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის დაცვით. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით, ადგილზე დოკუმენტაციის გადამოწმებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით.

შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მათ მიერ განხორციელებული ვიზიტის შედეგად გაცემულ იქნა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები და ხარვეზი არ გამოვლენილა. გაიცა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები:

კომპონენტი 2.2.1(1)

